ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4065858

ნომერი: AR1615515

თარიღი : 12.07.2018

გაცემის თარიღი : 12.07.2018

გაცნობის თარიღი : 12.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა აფციაური პ/ნ 01008036008
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 1ა ბ. 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №4062765 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 12 ივლისს №AR1615515 განცხადებით მომართა საბა აფციაურმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის

№4062765 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ფუნქციური ზონის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 11 ივლისს №4062765 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში №01.72.14.035.828 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №4062765 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრების ნაცვლად, ბრძანებაში დაფიქსირებულია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრები და აღნიშნულის შესაბამისად ითხოვს შეცდომის გასწორებას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით, №01.72.14.035.828 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მიხედვით, საზოგადოებრივ-საქმიანიზონა 1 (სსზ-1) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიან ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №4062765 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და არსებობს შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №4062765 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №4062765 ბრძანებაში. კერძოდ: კონკრეტული ფუნქციური ზონის პარამეტრების ველიდან ამოღებულ იქნას შემდეგი ჩანაწერი: ,,საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) კონკრეტული ფუნქციური ზონის პარამეტრები: განაშენიანების რეგულირების პარამეტრები კ-1 0,7 კოეფიციენტი, კ-2 4,6 კოეფიციენტი, კ-3 0,2 კოეფიციენტი, საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები მინიმალური ფართობი 700 კვ.მ, მინიმალური სიგანე 20 მეტრი, მინიმალური სიღრმე 30 მეტრი, შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე – მეტრი შენიშვნა''.
2. კონკრეტული ფუნქციური ზონის პარამეტრების ველში ჩაწერილ იქნას შემდეგი ჩანაწერი, კერძოდ: ,,საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), კონკრეტული ფუნქციური ზონის პარამეტრები: განაშენიანების რეგულირების პარამეტრები კ-1 0,7 კოეფიციენტი, კ-2 3,5 კოეფიციენტი, კ-3 0,2 კოეფიციენტი, საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები მინიმალური ფართობი 700 კვ.მ, მინიმალური სიგანე 20 მეტრი, მინიმალური სიღრმე 30 მეტრი, შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე – მეტრი შენიშვნა''.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №4062765 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №4062765 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.